



სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება



MES 3 21 0001.1/105



24/11/2021

№1.1/105

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე და 57-ე მუხლების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 და 2¹ პუნქტების, 5² მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 13 ოქტომბრის N1086965 კორექსონდენციის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) დაწესებულებების მიერ რიგგარეშე მობილობის გზით, საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მისაღებ

სტუდენტთა ადგილების რაოდენობის, აგრეთვე სწავლის საფასურის შესახებ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის წარდგენის ვადა განისაზღვროს - **2021 წლის 24 ნოემბრიდან 2021 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.**

ბ) რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენის ვადა განისაზღვროს - 2021 წლის 08 დეკემბრიდან 2021 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით.

გ) სტუდენტის რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს ბრძანების გამოცემის ვადად განისაზღვროს - არაუგვიანეს 2021 წლის 20 დეკემბერი.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ადგილების თავისუფალი რაოდენობა გამოითვლება ამ დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობისა და 2021 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.

3. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო ინოვაციების და ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების გზით.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი. მე-12 კმ. №6), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის განათლების მიმართულებების მენეჯერის, ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის - სალომე ჯაფარიძის 2021 წლის 22 ნოემბრის N1256815 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი

